ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 4 დეკემბრის სხდომის

ოქმი #10

2021 წლის 4 დეკემბერს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 37 წევრი, სხდომას ესწრებოდა 29 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარი;
2. ხელფასების ზრდის შესახებ;
3. 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ;
4. პროგრამული ცვლილებების შესახებ;
5. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ანკეტა-კითხვარი წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს (იხ. დანართები 1.1-1.2). შემოსული შენიშვნებიც გათვალისწინებულ იქნა. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გააზიარა ეკრანზე ანკეტა-კითხვარის ფაილი დამატებითი შენიშვნების შესატანად. საკითხის შესახებ განმარტებები გააკეთა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ნ.დორეულმა, ო.ფურთუხიამ, გ.ღვედაშვილმა, ბ.თუთბერიძემ, ა.გამყრელიძემ, ა.შენგელაიამ, დ.ძიძგურმა. ყველა შენიშვნა აისახა ანკეტა-კითხვარისა და კომპეტენციის ზღვრების ფაილში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2022 წლის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ (იხ. დანართები 1.1-1.2).

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2022 წლის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართები 1.1-1.2).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ხელფასების ზრდის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტის მომატებამ შესაძლებელი გახადა გაეზარდათ ხელფასები. დადგენილების პროექტი წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ნ.კოტრიკაძემ, ნ.დორეულმა, ა.უგულავამ. ნ.შათაშვილი დაინტერესდა რამდენი პროცენტით გაიზარდა აკადემიური პერსონალის ხელფასები, რაზეც ბატონმა რამაზმა უპასუხა, რომ პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ პროფესორის ხელფასები, შესაბამისად გაიზარდა 17%, 18% და 19%-ით. ნ.კოტრიკაძემ გამოთქვა აზრი, მიზანშეწონილი იქნება, თუ მომავალში ლაბორანტებსაც გაეზრდებათ ხელფასი. ამ კატეგორიას ნ.დორეულმა დაამატა მასწავლებლებიც. ამ საკითხებთან დაკავშირებით საჭირო განმარტება გააკეთა პროფესორმა ა.უგულავამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ხელფასების ზრდის შესახებ (იხ. დანართი 2).

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელფასების ზრდის შესახებ 2022 წლიდან (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. ბიუჯეტის პროექტი წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს. ბატონმა რამაზმა გააკეთა რამოდენიმე საჭირო განმარტება ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. ამასთან, მან ცალკე გამოყო ემერიტუს-პროფესორის ნოდარ ლეკიშვილის ანაზღაურების მომატება 300 ლარით (900 ლარი 600-ის ნაცვლად).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, ბ.თუთბერიძემ, ა.უგულავამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ორი საკითხი:

ა) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი 3);

ბ) ემერიტუს-პროფესორის ნოდარ ლეკიშვილის ანაზღაურების მომატება 300 ლარით.

კენჭისყრის შედეგები: საკითხები დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ა) დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტის (იხ. დანართი 3);

ბ) ემერიტუს-პროფესორ ნოდარ ლეკიშვილს გაეზარდოს ანაზღაურება 300 ლარით.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – პროგრამული ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. ქალბატონმა თამარმა განსახილველად გამოიტანა ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“ (იხ. დანართები 4). ცვლილებები განპირობებული იყო პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით დეპარტამენტის მიერ შემუშავებული მოსაზრებებითა და რეკომენდაციებით. კერძოდ, საგანს EEE6 შეეცვალა დასახელება, შეიცვალა საათების განაწილებაც, ხოლო საგნის EEE3 წინაპირობას დაემატა კიდევ ერთი წინაპირობა (EEE1). საკითხთან დაკავშირებით საჭირო განმარტებები გააკეთა პროფესორმა გ.ღვედაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საბაკალავრო პროგრამაში „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“ შეტანილი ცვლილებების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართები 4).

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“ (იხ. დანართები 4). ცვლილებები ძალაში შევიდეს 2021/2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი